პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 დეკემბერი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 300 (15210)

**დარწმუნებული ვართ, რომ ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გიგანტურ მუშაობას ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მეცხრე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, „კომუნისტი“ კვლავაც იქნება იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის წინა ხაზზე, დარაზმავს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ახალ-ახალი მიღწევების მოსაპოვებლად კომუნიზმის მშენებლობაში.**

**ვუსურვებთ გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტივს, საბჭოთა საქართველოს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან რაზმს ახალ დიდ წარმატებებს კეთილშობილურ შემოქმედებით შრომაში ჩვენი სამშობლოს სასახელოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ახალი გამარჯვებებისათვის.**

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

# გაზეთ „კომუნისტს“

გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგია და ყველა პრავდელი გულითადად ულოცავენ რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს, აქტივისტებსა და მკითხველებს პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავს.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო თქვენმა გაზეთმა საბჭოთა საქართველოს მშრომელებთან ერთად. მათი ერთგული მეგობარი და მრჩეველი, მასების კოლექტიური ორგანიზატორი, მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების პროპაგანდისტი, „კომუნისტი“ სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მებრძოლურად ეხმარება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში. მნიშვნელოვანია გაზეთის წვლილი მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში, რომელმაც საბჭოთა ხალხების ძმური დახმარებით შექმნა მძლავრი შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმია, ჩარხმშენებლობა და მანქანათმშენებლობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, დიდია მისი წვლილი მდიდარი ეროვნული კულტურის აყვავებაში. ამ დღეებში გაზეთი წერს, თუ რა დაუცხრომლად იღწვიან საქართველოს მშრომელები ახალი ხუთწლედის დავალებებისა და გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მკაფიო მაგალითებით გვიჩვენებს საბჭოთა წყობილების დიად უპირატესობებს, ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა ლენინური მეგობრობის ძალას.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გაზეთ „კომუნისტის“ ჟურნალისტები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები კვლავაც წარმატებით დარაზმავენ მასებს ინიციატივასა და ენერგიას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

უფრო მკაფიოდ გააშუქეთ საყოველთაო-სახალხო შრომითი შეჯიბრების გმირთა ყოველდღიური საქმიანობა! უფრო გაბედულად გააკრიტიკეთ ნაკლოვანებანი, აამაღლეთ ბეჭდვითი სიტყვის ქმედითობა!

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ნაყოფიერ მუშაობას და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

**გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგია.**

გაზეთ „კომუნისტის“ 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე. ფოტო ვლ. ბინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

# ქართული საბჭოთა პრესის მედროშე

## გაზეთ „კომუნისტის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

**50 წელი** შესრულდა გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან. „ეს უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც გაზეთი თავისი მართალი სიტყვით“ ესაუბრება ასიათასობით მკითხველს, როგორც მისი ახლობელი და გულწრფელი მეგობარი. „კომუნისტი“ დიდი ხანია გახდა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. საქართველოს მშრომელები თავიანთ საყვარელ გაზეთში ხედავენ ლენინური ტიპის ბეჭდვით ორგანოს, პრინციპულ და პირუთვნელ მეგობარს, ნამდვილ კოლექტიურ პროპაგანდისტსა და აგიტატორს. გაზეთ „კომუნისტის“ ისტორია — ეს ქართველი ხალხის ისტორიაა 50 წლის მანძილზე. „კომუნისტი“ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების მემატიანე, კეთილი მაცნე ყოველივესი, რაც შეუქმნია ქართველი კაცის მარჯვენას — სამრეწველო საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში. ამიტომ აღნიშნავს საქართველოს საზოგადოებრიობა ქართული საბჭოთა პრესის მედროშის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწის „კომუნისტის“ ნახევარი საუკუნის იუბილეს ასეთი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

საიუბილეო ზეიმის წინადღით გაზეთმა თავის მოწინავეში „ხალხთან, პარტიასთან ერთად“ ხაზი გაუსვა მის ურღვევ კავშირს ხალხთან, პარტიასთან, იმას, რომ იგი მოწოდებულია ყოველ დღე, ყოველ საათს ავრცელებდეს მასებში პარტიის იდეებს, პარტიის მართალ სიტყვას, თავისი საზოგადოებრივი გავლენის მთელი ძალით ეხმარებოდეს პარტიას დარაზმოს მასები, წარმართოს მათი ღონისძიებანი სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

27 დეკემბერს თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომ აღენიშნათ გაზეთ „კომუნისტის“ სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილე.

საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმში არიან მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მჟავანაძე, ა. ჩურკინი, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, რ. მეტრეველი, მოსკოვის, უკრაინის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის ჟურნალისტთა წარმომადგენლები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, შემოქმედებითი კავშირების მდივნები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. გოგიჩაიშვილმა**

საიუბილეო საღამოს სატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

საღამოზე გულთბილი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მჟავანაძემ.**

— დიდი და სახელოვანი გზა განვლო გაზეთმა „კომუნისტმა“ თქვა ამხანაგმა ვ. მჟავანაძემ. მისი ყოველი ნომერი, ყოველი შემოქმედებითი ჩანაფიქრი და თაოსნობა განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს კომუნისტური პარტიის, ქართველი ხალხის გმირულ ისტორიასთან, მის სასახელო საქმეებთან. გაზეთი „კომუნისტი“ მუდამ მხარში ედგა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, როგორც მისი მებრძოლი თანაშემწე.

საქართველოში ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიალურ მითითებათა მიხედვით საქართველოში სოციალიზმის მშენებლობისათვის, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის ბრძოლაში გაზეთი „კომუნისტი“ ყოველთვის იყო მაგალითი კომუნისტებისათვის, ჩვენი ხალხისათვის.

დღეს ჩვენ სიამაყით და დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იუბილარი გაზეთი მუდამ იყო მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის იდეების ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული და ყველაზე ურყევი მქადაგებელი საქართველოში.

„კომუნისტი“ გულით შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, როგორც ახლო მეგობარი და გულითადი მრჩეველი. იგი ყოველდღე, როგორც კეთილი მაცნე, შრიალით შედის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ოჯახებში და არის მათი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

ნება მიბოძეთ, მეგობრებო, ერთხელ კიდევ მივულოცო გაზეთ „კომუნისტის“ მთელ კოლექტივს, მის მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მის ასიათასობით მკითხველს, პირადად თქვენ— ამ საზეიმო სხდომის მონაწილეებს ჩვენი სახელოვანი გაზეთის ორმოცდაათი წლის იუბილე და გამოვთქვა რწმენა, რომ გაზეთი „კომუნისტი“ თავისი საუკუნის მეორე ნახევარშიც ერთგულად ემსახურება ქართველი ხალხის კიდევ უფრო ბედნიერი მომავლის საქმეს, მუდამ იქნება დიდი ლენინის იდეური მემკვიდრეობის მჭაბუნებრივ პროპაგანდისტი, ხალხთა ინტერნაციონალური ძეგობრობის მედროშე და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გისურვებთ ახალ წარმატებებს, ამხანაგო ჟურნალისტებო, თქვენს ძნელ და საპატიო საქმეში!

ამხანაგ ვ. მჟავანაძის სიტყვა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. გამოსვლის დასასრულს გაისმა მქუხარე ტაში.

შემდეგ ამხანაგმა **ვ. მჟავანაძემ** წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისადმი, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მოხსენება „გაზეთ „კომუნისტის“ 50 წელი“ გააკეთა გაზეთის რედაქტორმა **დ. მჭედლიშვილმა.** შან ილაპარაკა გაზეთ „კომუნისტის“ ნახევარი საუკუნის ისტორიაზე, რომელიც სისტემურად უკავშირდება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების სახელოვან საქმეებს, ჩვენი რესპუბლიკის ყოველდღიურ ცხოვრებას. გაზეთის გამოცემამ თვალსაჩინოდ დაადასტურა ქართველ მშრომელთა რევოლუციური შეგნება და პარტიული ორგანიზაციების დარაზმულობა.

„კომუნისტი“ იზრდებოდა და იზრდება სოციალიზმისა და კომუნიზმის გზაზე ქართველი ერის წინსვლასთან ერთად. ჩვენს დღეებში „კომუნისტის“ მთელ იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობას საფუძვლად უდევს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებების შესრულებაში ხედავს რედაქციის კოლექტივი თავის უპირველეს ამოცანას — ხელი შეუწყოს მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, საყოველთაო-სახალხო პოლიტიკურ და შრომით აქტივობას.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს მხურვალედ მიესალმენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **გ. აბაშიძე,** სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მდივანი **მ. პოდკურკოვი,** სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გ. გაჩჩილაძე,** გაზეთ „რადიოსსკაია უკრაინის“ მთავარი რედაქტორი **ა. რიაბოკლიაჩი,** გაზეთ „ხარია ვოსტოკას“ რედაქტორი **შ. ყარყარაშვილი,** გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ მთავარი რედაქტორი, გენერალ-ლეიტენანტი **ნ. მაკეევი,** წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ყოჩიაშვილი,** გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე **ა. ხარლამოვი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ბარამიძე.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი **ნ. ბარბაქაძე,** შუაგზიელი ჟურნალისტების სახელით იუბილარს მიესალმა გაზეთ „სოვეტ უზბეკისტანის“ რედაქტორი **მ. კარიევი,** სომხეთისა და აზერბაიჯანის ჟურნალისტთა სახელით —გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქტორი **მ. ოკულოვი.**

ორატორებმა გულთბილად ილაპარაკეს გაზეთ „კომუნისტის“ პოპულარობაზე, მის დაუღალავ შრომაზე, იმაზე, თუ როგორ ერთგულად ემსახურება იგი პარტიას, ხალხს, რომ გაზეთის მკითხველები უსურვებენ მას კვლავაც ჯაბუკური შემართებით იბრძოდეს შშობლიური კომუნისტური პარტიის მიზანდასახულობათა შესრულებისათვის, წმიდად იცავდეს საბჭოთა პრესის ღირსეულ ტრადიციებს.

საიუბილეო საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი. (საქდესი).

# ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ლენინგრადში

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** 25 დეკემბერს ლენინგრადში ჩავიდა.

აეროპორტში ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** შეხვდნენ სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ი. არისტოვი,** ლენინგრადის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ა. ხიზოვი,** შრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ნ. შიბაევი,** ლენინგრადის ლენინის ორდენსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ე. შავროვი,** სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ბიუროების წევრები, პარტიის ლენინგრადის რაიკომების პირველი მდივნები, სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, შრომელთა დეპუტატების საქალაქო და საოლქო საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკდესი).

**ლენინგრადი,** 26 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ. ნ. ანოლესოვი). ლენინგრადის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ფაიფურის ქარხანამ ახლახან აღნიშნა თავისი 225-ე წლისთავი. ეს არის რუსეთში პირველი და ევროპაში უძველესი მხატვრული ფაიფურისა და ქაშანურის ნაწარმის ქარხანა. მისი მხატვრებისა და ოსტატების ნაწარმოებები, რომლებიც განაგრძობენ და ავითარებენ ფაიფურის რუსი ოსტატების ტრადიციებს, ფართოდ არის ცნობილი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ეწვია ამ სახელმოხვეჭილ ქარხანას. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მხატვრები უაღრესად გულთბილად და გულითადად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** გაეცნო ფაიფურის ნაწარმის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, კოლექტივის გეგმებს ხუთწლედისათვის, საწარმოს განვითარების პერსპექტივებს. ქარხნის საამქროებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გულთბილად ესაუბრა მუშებს, მხატვრებს, სპეციალისტებს, გამოკითხა, თუ როგორ არის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება, როგორია შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

ქარხნის დირექტორმა **ა. ს. ხოკოლოვმა** ილაპარაკა საწარმოს ისტორიაზე. მან თქვა, რომ ქარხანა, თუმცა სპეციალიზება მხატვრული ფაიფურის გამოშვებაზე, წარმატებით ასრულებს მის წინაშე დასახულ დიდმნიშვნელოვან ამოცანას — მიმდინარე ხუთწლეულში გაადიდოს ფართო მოთხოვნილების საქონლის წარმოება. გეგმის თანახმად ხუთწლედში საწარმომ უნდა გამოუშვას 62,5 მილიონი ნაწარმი, კოლექტივმა კი ვალდებულება იკისრა გამოუშვას 90 მილიონი ნაწარმი. ქარხანაში ათვისებულია ლონმილი კვარცის პროდუქციის გამოშვება, დანერგილია მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** დაათვალიერა მუზეუმი, რომელშიც შეკრებილია ფაიფურისა და ქაშანურის ნაწარმის ნიმუშები ქარხნის არსებობის პირველი წლებიდან, აგრეთვე ახალი პროდუქციის გამოთვენა. საპატიო სტუმართა წიგნში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დატოვა ჩანაწერი.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად ქარხანაში იყვნენ სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** ლენინგრადისა და ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა გაესეირნა ლენინგრადის ქუჩებში, დაათვალიერა ახალშენებლობათა რაიონები. ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე ლენინგრადელები გულთბილად მიესალმებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

საღამოს ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** დაესწრო სპერტაკლს ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. (საკდესი).

# ლენინგრადელთა წარმატება

**ქალაქ** ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელებმა ვადამდე — 25 დეკემბერს შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა გამოშვების ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. წარმოების მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ვადამდე დაამზადეს 508 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინ-გენერატორი კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის, 5 მძლავრი გზატურბინიანი საჭირხნი მაგისტრალური გაზსადენებისათვის, 20 დიდი ელექტრომანქანა მეტალურგიული და სამთომომპოვებელი მრეწველობისათვის, რამდენიმე გემი, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ფლოტის ფლაგმანი „კოსმონავტი იური გაგარინი“ და თევზსარეწი ბაზა „ვოსტოკი“.

გასულ წელთან შედარებით თითქმის 200 მილიონი მანეთით გაიზარდა საქონლის გამოშვება მოსახლეობისათვის, მათ შორის 30 მილიონი მანეთის პროდუქცია წარმოებულია გეგმის გადამეტებით.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა. რომლებმაც მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულის კარგი მოსავალი მოიწიეს. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოება. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მიყიდვის დავალებანი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

◆ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ტრესტ „სამთოქიმიის“ საწარმოთა კოლექტივებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა 15 დეკემბრისათვის შეასრულეს ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 25 დეკემბრისა.

წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 420 ათასი მანეთის პროდუქციას, მაშინ როცა ვალდებულება 280 ათას მანეთს ითვალისწინებს.

მოგების გეგმა ჯერ კიდევ 1 დეკემბერს შეასრულეს 68 ათასი მანეთის გადაჭარბებით, ხოლო წლის დამლევამდე იგი 160 ათას მანეთამდე გაიზრდება ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 85 ათასი მანეთისა.

შრომის ნაყოფიერება 11 თვეში 103,6 პროცენტით გაიზარდა — აცნობა რედაქციას ტრესტის მმართველმა ი. გოგიტიეიმ.

◆ **წლიური** გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულება უპატაჟა სამშობლოს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის (დირექტორი ი. იმერლიშვილი) კოლექტივმა. სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა საწარმომ 21 დეკემბერს შეასრულა ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 25 დეკემბრისა. რეალიზებულია 9.578 ათასი მანეთის თუჯისა და ფოლადის სხვადასხვა. ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებდა გეგმის გადამეტებით 500 ტონა თუჯისა და 300 ტონა ფოლადის სხმულის გამოშვებას. ეს ვალდებულება უკვე შესრულებულია.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,2 პროცენტით ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2 პროცენტისა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 0,5 პროცენტით.

◆ **ᲥᲐᲠᲮᲜᲐ „თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲬᲧᲝᲡ“** (დირექტორი კ. თათარაშვილი) კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა, მზა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 6 დეკემბრისათვის შეასრულა, მაშინ როცა ვალდებულება ამის შესრულებას 24 დეკემბრისათვის ითვალისწინებდა.

წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით რეალიზებული იქნება 100 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო გამოშვებული — 150 ათასი მანეთის სახაქონლო პროდუქცია.

მიმდინარე წლის 11 თვის მანძილზე საწარმოში დამზადდა და გამოუშვეს 32,5 ათასი ცალი სახანძრო მაუწყებელი, რომლებიც გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობებში ჰაერის ტემპერატურის კონტროლისათვის.

◆ **„ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲝᲤᲝᲜᲘᲡ“** ქარხნის (დირექტორი გ. ყაკაბაძე) კოლექტივმა მიმდინარე წლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა და მისი რეალიზაციის წლიური პროგრამა 17 დეკემბრისათვის შეასრულა. ნინებულია კოლექტივის სხვა შრომითი მაჩვენებლებიც. დიდი გადაჭარბებით შესრულებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი და ვალდებულებანი. მიღებულია სოლიდური მოგება. ბევრი რამ გაკეთდა საწარმოს ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, დაიდგა მაღალი წარმადობის მოწყობილობანი, რეკონსტრუირებულია მთელი რიგი საამქროები. დიდი ყურადღება ეთმობა წარმოების კულტურას, რაციონალიზატორობასა და გამომგონებლობას.

◆ **№ 3 ᲥᲕᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ** (დირექტორი შ. კიკნაძე) კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება 20 დეკემბრისათვის შეასრულა. რეალიზაციის მოცულობა 108,5 პროცენტით არის განაღდებული, საერთო პროდუქციისა — 102,2 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 7,1 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 1.050 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინოს 1.048 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

◆ **ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ** სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალების ვადამდე შესრულებისათვის და პირველი წარმატება მოიპოვეს, ვალდებულებით გათვალისწინებული 25 დეკემბრის ნაცვლად 23 დეკემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის წლიური დავალება.

ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე 11 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვან.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, სატრაქტორო, ელექტრომექანიკური, ლითოფონის, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნებისა და კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები. (საკ. კორ.).

## ᲯᲘᲐᲗᲣᲠᲐ

◆ **ᲛᲐᲠᲯᲘᲜᲘᲫᲘᲡ** ლენინის ორდენოსანმა კოლექტივმა 23 დეკემბერს შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების წლიური გეგმა და ნაკისრი ვალდებულება, სამშობლოს მისცა 10 მილიონ 659 ათასი მანეთი მოგება, აქედან 621 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

ქართველი მაღაროელები წლის ბოლომდე მეტალურგიულ მრეწველობას გაუუზავნიან სულ მცირე 1.400 ათასი მანეთის მაღალხარისხოვან მადანს. (საკ. კორ.).

**ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ** ხხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია გადაღებული, ერთი — თბილისში, მეორე — დუშეთის რაიონში სოფელ გუდამაყარში. ორივეზე კარგად ჩანს, თუ რაოდენი სიხარული მოაქვს გაზეთს თავისი მკითხველისათვის. მწყემსებმა (სურათზე ზემოთ) ალბათ ეს-ეს არის საძოვარზე გარეკეს თავიანთი ფარა, და გაზეთ „კომუნისტის“ ახალი ნომერიც მიიღეს. ისინი გულისყურით უსმენენ ახალგაზრდა მწყემსს, რომელიც გაზეთს უკითხავს. იქნებ მეცხვარეთა წარმატებებზე მოუთხრობს მათ გაზეთის ეს ახალი ნომერი?

დილაა (სურათზე ქვემოთ). თბილისელები სამუშაოდ მიიჩქარიან. მაგრამ განა შეიძლება საგაზეთო ჯიხურს ჩაუარო და გაზეთის ახალი ნომერი არ შეიძინო? მაშინვე ფურცლავ მას, ვერ ითმენ, სანამ ახალ ამბებს შეიტყობდე.

ფოტო ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ და ბ. ᲑᲝᲒᲝᲮᲘᲐᲜᲘᲡ.

# ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ

**ᲣᲮᲣᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ** იუბილე განსაკუთრებული დამახასიათებელი სახალხო ალიარებაა.

გაზეთმა „კომუნისტმა“ დიდიხანია ეს ალიარება მოიპოვა, მაგრამ დღეს, როცა მისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის ფურცლებს გადავშლით, ჩვენ წინაშე დგება პრესის ვეტერანი, რომელმაც ერის ინტერესები საკაცობრიო იდეალებს შეაწირა და თანამედროვე მეცნიერებას მეგობრული ზრუნვა არ მოაკლო.

ჩემს მეხსიერებას „კომუნისტის“ სამი პერიოდი შემოარჩა, როგორც განვლილი დრო.

პირველი, როცა 1933-1934 წლებში მისი მდივანი ვიყავი, მეორე — როცა რედაქტორის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, მესამე— როცა მისი მუდმივი თანამშრომელი გავხდი როგორც მეცნიერების მსახური.

ჭართული პრესის ისტორიაში „კომუნისტი“ უკვდავია. მან დაავეკრკვინა ჩვენი ეროვნული ფურნალისტიკის უფელა საუკეთესო ტრადიცია. არცერთი შემმბრუნება ახალ საქართველოს არა ჰქონია, ჩვენს ოუბილარს მისთვის თავდადებული სამსახური არ გაეწიოს, როგორც ტრიბუნს, შებრძოლ ფერმენტსა და ახალი ეპოქის ოქროპირს.

ჩვენი დრო ქართველთათვის იყო ალსავსე. ამ ქართველების კორიანტელში „კომუნისტი“ პარტიის ნებას განახორციელებდა, ავანგარდის როლს ასრულებდა, გამოდიოდა ახალი ქვეყნის მშენებლობის, სოციალისტური შეჯიბრების, გმირული სულის, ესთეტიკურ-მორალური აღზრდის მედროშედ. ეს ზრდდა თავის თავს და ხელს უწყობდა სხვების აღზრდას. „კომუნისტის“ ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია აღმზრდელობითი იყო.

მე დავეწარი მისი არსებობის ოცდახუთი წლის იუბილეს, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დღეს ვესწრები ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, როგორც კორესპონდენტი და გულშემატკივარი მკითხველი.

დაე გავიდეს დრო, ხანგრძლივი და დიდი დრო, დაგვათოვოს ხანდაზმულობის სითეთრემ, მაგრამ „კომუნისტი“ დარჩეს, როგორც ჩვენი ეპოქის უკვდავი დიდება!

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ,**
აკადემიკოსი.

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

# ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

**ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲒᲜᲘᲡ** მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე გამოუშვებენ 150 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ხელსაწყოებს, ავტომატიზაციისა და გამოსათვლელი ტექნიკის ხაშუალებებს. ამ სახეობათა პროდუქციის წარმოება 1971 წელს წინა წელთან შედარებით გაიზრდება 17 პროცენტით.

**ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲒᲜᲘᲡ** საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს გოგირდის, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების წლიური გეგმა.

გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 80 ათას ტონაზე მეტ გოგირდს, 70 ათას ტონაზე მეტ პლასტიკურ მასებსა და სინთეზურ ფისებს, მათ შორის 13.6 ათას ტონა პოლიეთილენს; 10 ათას ტონაზე მეტ მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს.

**ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ** ვადამდე შეასრულეს ელექტროენერგიის წარმოების წლიური გეგმა.

1970 წელთან შედარებით წარმოებული იქნება თითქმის 60 მილიარდი კილოვატსაათით მეტი ელექტროენერგია.

**ᲜᲐᲕᲗᲝᲛᲒᲐᲖᲐᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲔᲚᲘ** და ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ბენზინის, დიზელის საბობის, კაუჩუკის, ავტოსაბურავების, ბუთილისა და იზობუთილის სპირტებისა და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტექნიკური რეზინის ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა.

წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით წარმოებული იქნება ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის დიდძალი სხვადასხვა პროდუქცია.

**ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝᲛ** მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ავტომანქანების გამოშვების წლიური გეგმა და დამატებითი დავალება. გეგმის გადაჭარბებით წლის ბოლომდე გამოშვებული იქნება დაახლოებით 19 ათასი ავტომობილი. ავტომობილმშენებლებმა 1970 წელთან შედარებით 24 პროცენტით გაადიდეს ავტომანქანების გამოშვება და მიაღწიეს წელიწადში ერთ მილიონზე მეტი ავტომანქანის წარმოების მიჯნას.

**ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ** მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ტვირთბრუნვისა და ტვირთზიდვის წლიური გეგმა.

წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გადაზიდულ იქნება დაახლოებით 50 მილიონი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

**ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ** მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს მგზავრბრუნვისა და სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენების წლიური გეგმა.

**ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ** და რძის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ხორცისა და მოუხდელი რძის პროდუქციის წლიური გეგმა.

წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული იქნება 500 ათას ტონაზე მეტი ხორცი და 300 ათასი ტონა მოუხდელი რძის პროდუქცია.

# ᲙᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

**ᲙᲣᲑᲘᲡ** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო, რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში, 25 დეკემბერს ეწვია ლიუბერცის უხტომკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლო ქარხანას.

საპატიო სტუმარს გულღიად შეხვდნენ. საწარმოს დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ს. პ. პოპოვმა ო





ბი საწარმოს ისტორია, გააცნო კოლექტივის წარმატებანი ახალი ტექნიკის შექმნაში.

ლიუბერცელ მანქანათმშენებლებს მტკიცე ურთიერთობა აქვთ კუბელ მეგობრებთან. მათ ერთად შექმნეს შაქრის ლერწმის ასაღები კომბაინი. ათასზე მეტი ასეთი მანქანა ეგზავნება კუბაში. ამას წინათ დამთავრდა ახალი ნიშნის ორი აგრეგატის დამზადება. ისინი აღჭურვილი არიან მძლავრი მოტორებით და გადიდებული სიჩქარით იმუშავებენ, რაც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გაიდიდებას.

ოსვალდო დორტიკოს ტორადომ შემოიარა სამქროები, ესაუბრა მუშებსა და ინჟინრებს, გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს კომბაინების წარმოება. მან გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა სპეციალისტებს დიდი დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ კუბელ ხალხს სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში.

ოსვალდო დორტიკოს ტორადოსთან ერთად ქარხანაში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ი. ფ. სინიცინი, საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ნ. პ. ტოლუბეევი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. გარსია პელაესი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲣᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

**25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კუბის ოქმს კუბაში შაქრის ლერწმის მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების მექანიზაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ოქმი ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირი კუბას მიაწვდის მისაბმელების საწარმოებელ მოწყობილობას, გადასცემს ტექნიკურ დოკუმენტაციას, მხარეები ერთმანეთს გაუცვლიან სპეციალისტებს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილემ ნ. ნ. ტარასოვმა, კუბის მხრივ — მექანიზაციის ეროვნული სამმართველოს უფროსმა ვ. პარამ. (საკდესი).

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

**ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ** ა. თ. გორკინის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმზე მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. დ. ბანიკოვის მოხსენება სასამართლოების მიერ კასაციის წესით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული მნიშვნელოვანი როლი სასამართლო პროცესის ამ სტადიისა, რომელიც მოწოდებულია დროულად და სწრაფად აღმოფხვრას შეცდომები, რომლებსაც ჯერ კიდევ უშვებს ზოგიერთი სასამართლო განაჩენის გამტანისას, დაადგინოს მოქმედი კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება.

პლენუმმა საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს მიუთითა, რომ ყურადღებით და ყოვლმხრივ შეამოწმონ საქმეები, რათა თვითეული გამოტანილი განაჩენი და განჩინება სავსებით შეესაბამებოდეს კანონს. სასაზარლოებს მიეცათ ახსნა-განმარტებანი იმ საკითხების გამო, რომლებსაც წარმოშობს იმ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც აწესრიგებს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო განხილვის წესს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ბ. ი. ტრუნბიკოვის მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სასამართლო პრაქტიკაში მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი. (საკდესი).

# ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ** მოვლენით აღინიშნა ახალიწლისწინა დღეები მეცნიერთა, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა, საფინანსო და ბანკის ორგანოების მუშაკთა ჯგუფისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მათ სალეიმო ვითარებაში გადაეცათ მთავრობის ჯილდოები და სიგელები საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დაინსახურეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲔᲚᲘᲡᲐᲛᲘᲡᲘ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ს. ᲙᲝᲠᲬᲘᲜᲘᲫᲔ დაჯილდოებულთ გადასცა შრომის წითელი დროშის ორდენი. „საპატიო ნიშნის ორდენი“, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების სიგელები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ბ. ი. ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის პირველი მოადგილე ნ. ფ. ᲨᲐᲒᲐᲫᲔ, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

გ. ს. ᲫᲝᲬᲘᲜᲫᲔ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, გამოთქვა რწმენა, რომ მიღებული ჯილდოები გახდება შემდგომ წარმატებათა მიღწევის სტიმული, უსურვა შეკრებილთ დიდი ბედნიერება და ახალი მიღწევები მომავალ წელს. (საკდესი).

# ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐᲜᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ 1971 წლის 24 დეკემბრის ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ**

**ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ** კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით ფოთის საქალაქო გაზეთი „ახალი კოლხეთი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი Ზ. ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲔᲚᲘᲡᲐᲛᲘᲡᲘ

თბილისი, 1971 წლის 24 დეკემბერი.

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

**ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ**

# ᲛᲔᲡᲮᲔᲚᲝᲒᲔᲜ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

## ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია მეცხოველეობისა და ვეტერინარიის საკითხებზე.

მეცნიერებმა განიხილეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მეცხოველეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, ჯიშთსანაშენო საქმის, კვებისა და საკვების მომზადების, ხორცისა და რძის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადებების ლიკვიდაციის საკითხები და სხვა პრობლემები.

დიდი ინტერესთ მოისმინეს მოხსენებანი საქართველოს ზოოტექნიკურ ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის თანაშრომლების — მეცხოველრების დამსახურებული მოღვაწის, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. შამათავასი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის პ. ბოლქვაძის, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორების ე. ხალილოვისა და რ. რუსტამოვის (აზრბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის ზ. დილანიანისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ა. მანუჩაროვის (ერევნის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტი) და სხვათა მოხსენებანი.

კონფერენციის საბოლოო პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ სექციების ხელმძღვანელები და საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ვ. მამათელაშვილი.

სხდომაზე მიიღეს რეკომენდაციები წარმოებაში ამიერკავკასიის მეცნიერებათა მიღწევების დანერგვის შესახებ. (საკდესი).

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

**ᲐᲮᲚᲐᲪ** თვალწინ მიდგას: დიდ, ძველებურ, მაუდგადაკრული მაგიდასთან ზის დიტო ლომთაძე, წინ ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტი უდევს. საჩვენებელ და უსახელო თითებს შუა მუნდშტუკი უჭირავს, საკუთარი ხელით ნეფელი რტოდან გამოთლილი. ხანგამოშვებით ღრმა „ნაფაზს არწყამს“, მზედაკრული სახე კვამლში ეხვევა. სივრცეში მიუყურია ჭკვიანი თვალები, ირიბი ჭრილის გამო მონღოლური იერი რომ დაპკრავს. მარჯვენა ხელის სამი თითის მარწუხებში მოქცეული აძგიბგიებული კალამი მკვეთრ კვალს ტოვებს ქაღალდზე, (ეს-ეს არის დიტო ლომთაძე დაბრუნებულა სამგორის მშენებლობიდან თუ ელმავლსამშენებლო ქარხნიდან, ტყიბულისა თუ ტყვარჩელის მივლინებიდან). წერს. ამ დროს იგი აბსოლუტურად გამოთიშულია საგაროსაგან. კ. სტანისლავსკის „ჯადოსნურ წრეშია“ მოქცეული, როგორც მსახიობები იტყვიან.

...ორივენი თბილისელები ვიყავით და სხვაგან კი გავიცანით ერთმანეთი. ეს მოხდა ქუთაისში, მაღლაკის ვილაზე, აკვიასტის პაპანაქებაში. საავტომობილო ქარხანა საზეიმოდ იხსნებოდა. ის უკვე ქართული პრესის ვეტერანი იყო, მე კი, მასთან შედარებით, — დამწყები ჟურნალისტი („ახალგაზრდა კომუნისტში“ ვმუშაობდი). დიტო ლომთაძე ყველაზე ადრე ჩამოსულიყო და თითქმის ყველა მასალა აეღო. ეს კიდევ არაფერი, ვიდრე მიტინგი დამთავრდებოდა, ჩაიკეტა, — თვითმფრინავის გასვლამდე დიდი დროაო, და ხვალინდელი გაზეთისათვის სტატია უკვე მზად ჰქონდა მორე. ეს დღეს „კომუნისტი“ ვრცლად აუწყებდა ქვეყანას ახალი ინდუსტრიული კიბეების დაბადებას. გამაოცა მისმა ოპერატიულობამ.

შემდეგ ხუთ წელიწადზე მეტ ხანს ერთად მოგვიხდა მუშაობა, ერთი რედაქციის — „კომუნისტის“ ერთ განყოფილებაში — მრეწველობის განყოფილებაში (ის გამგედ, მე ლიტთანამშრომლად), ერთ ოთახში ერთმანეთის პირდაპირ ვიხსენდით და ვხედავდი, თუ როგორ იწერებოდა თურმე „კომუნისტის“ ფურცლებზე ხან ვეება სარდაფებად გადაჭიმული, ხან პატარა, გაზეთის ოროოდე სვეტში ჩამწყვდეული წერილები თუ ცოცხალი რეპორტაჟები, რომლებიც მიახარებდნენ ხოლმე მკითხველებს ზაპესისა თუ რიონჰესის გაჩენას, ქართული მეტალურგიული კერების აღორძინებას. კასპის ცემენტის ქარხნისა თუ ხრამესის, თბილისის მაუდის ფაბრიკისა თუ ქუთაისის ლითოფონის ქარხნის საძირკველის ჩაყრას, ტყვარჩელისა და ტყიბულის მეშახტეთა წარმატებებს, ჭიათურელ მაღაროელთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა მიღწევებს, მიახარებდნენ ხოლმე წერილებით, რომლებსაც ქვეშ ეწერა „დ. ლომთაძე“ ან დ. ამირანიძე“, მათ დიდი ინტერესით ელოდა და ეცნობოდა მკითხველი.

მარტო ჩამოთვლაც ძნელია ყველა იმ ობიექტისა, რომლებზეც ჩვენს დიტოს დაუწერია. სამგორზე კი აუცილებლად უნდა ითქვას.

გამოენიისას, პირველი ტრამვაით ნაძალადევში გადიოდა, იქიდან კი ფეხით მლაშე ტბისაკენ მიეშურებოდა სამგორის არხის მშენებლობაზე, ხელმძღვანელებთან თუ რაიონებიდან მაღაროელებიდან ჩაის მრეწველობის მუშაკთა მიღწევებს, ბოლოს ეს ორი ფოტოსურათი ხხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია გადაღებული, ერთი — თბილისში, მეორე — დუშეთის რაიონში სოფელ გუდამაყარში. ორივეზე კარგად ჩანს, თუ რაოდენი სიხარული მოაქვს გაზეთს თავისი მკითხველისათვის. მწყემსებმა (სურათზე ზემოთ) ალბათ ეს-ეს არის საძოვარზე გარეკეს თავიანთი ფარა, და გაზეთ „კომუნისტის“ ახალი ნომერიც მიიღეს. ისინი გულისყურით უსმენენ ახალგაზრდა მწყემსს, რომელიც გაზეთს უკითხავს. იქნებ მეცხვარეთა წარმატებებზე მოუთხრობს მათ გაზეთის ეს ახალი ნომერი?

დილაა (სურათზე ქვემოთ). თბილისელები სამუშაოდ მიიჩქარიან. მაგრამ განა შეიძლება საგაზეთო ჯიხურს ჩაუარო და გაზეთის ახალი ნომერი არ შეიძინო? მაშინვე ფურცლავ მას, ვერ ითმენ, სანამ ახალ ამბებს შეიტყობდე.

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲐᲩ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ ᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜ

# ᲓᲦᲔᲡ

**ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐ**

## ᲘᲜᲓᲝᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ᲓᲐᲙᲐ. 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** აქ გაიმართა ბანგლა დეშის მთავრობის წევრთა სხდომა, რომლებმაც დაადგინეს ბენგალის ენა ოფიციალურ ენად გამოაცხადონ. ყველა ბრძანებულება, განკარგულება, ბიულეტენი გამოვა ბენგალის ენაზე.

**ᲠᲐᲜᲒᲐᲚᲞᲘᲜᲓᲘ. 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** ბანგლა დეშის შექმნასთან დაკავშირებით, იუწყება პრესა, პაკისტანის სახელმწიფო ბანკმა გააუქმა აღმოსავლეთ პაკისტანში სხვადასხვა საქონლის იმპორტისათვის გაცემული ყველა აკრედიტივი.

**ᲓᲐᲙᲐ. 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** როგორც ბანგლა დეშის რადიოსადგური იუწყება, ქვეყნის მთავრობამ გამოაცხადა, რომ შეიქმნა თავდაცვის ეროვნული აკადემია და ეროვნული მილიცია, რომელშიც შევა „მუქთი ბაჰინის“ (განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმები) ყველა წევრი.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ეროვნული მილიცია ხელს შეუწყობს ბანგლა დეშის ახალი პოლიტიკური კურსის განხორციელებას და რომ ქვეყნის ყოველ რაიონში ნავარაუდევია შეიქმნას მილიციის სპეციალური საწვრთნელი ბანაკები.

# ᲣᲮᲔᲨᲘ ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲐ

**ᲙᲐᲜᲝ. 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** ამერიკის მხედრობა აძლიერებს შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ დაადგა ინდო-ჩინეთში სამეარო ომის მკვეთრად გაფართოებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ უხეში შეიარაღებული პროვოკაციების გზას.

„ამერიკის თვითმფრინავთა არმადამ 26 დეკემბერს მასირებულად დაბომბა ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორია“, — იუწყება საიგონიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ხაზს უსვამს რა ამასთან; რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეკობრულ თავდასხმებში მონაწილეობდა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დიდაური თვითმფრინავი.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** გაზეთი „ლუმანიტე“ აღშფოთებით წერს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის მასირებული თავდასხმების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონმა თავისი ავიაცია გაგზავნა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკისაკენ იმ დროს, როცა ძალაში შევიდა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის გადაწყვეტილება საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებით სამხრეთ ვიეტნამში ცეცხლის სამი დღით შეწყვეტის შესახებ.

იმ ცდას, რომ მოუმზადებელს დასხმოდნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მამაც დამცველებს, ბანგარძობს „ლუმანიტე“, წარმატება არ მოყოლია. ვიეტნამელებმა შესანიშნავად იციან, თუ რა მუზანთია ვაშინგტონი და არ აღუნებენ სიფხიზლეს.

# ᲛᲡᲝᲤᲚᲝᲓ

● **ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** თხზულებათა 50-ტომიანი სრული კრებულის მეორმოცე ტომი ესპანურ ენაზე. ეს არის არგენტინაში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის თხზულებათა მეორე გამოცემა. პირველი გამოვიდა 1957-1964 წლების პერიოდში.

● **ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ** კანცლერი ვ. ბრანდტი გაფრინდა შეერთებულ შტატებში, სადაც მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონთან. მოლაპარაკება მოეწყობა 28-29 დეკემბერს. ბრანდტს ახლავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შეელი.

● **ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ** თექვსმეტმა ვეტერანმა ბარიკადები აღმართა თავისუფლების ქანდაკებასთან, რომელიც დგას პატარა კუნძულზე ნიუ-იორკის უურეში შესასვლელთან. ყოფილმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა, ამჟამად კი ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის მებრძოლებმა, განაცხადეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სისხლისღვრის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად არ დატოვებენ თავისუფლების ქანდაკებას ახალი 1972 წლის დამდეგამდე, იმისათვის, რომ წაართვან ვეტერანებს კუნძული და თავისუფლების ქანდაკება, ქალაქის ხელისუფლებმა იქ კატარღებით გგზავნეს პოლიციელთა რაზმები.

● **ᲑᲝᲛᲑᲐᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲘᲐᲛᲐᲢᲘᲡ** გრიალში ოლსტერში მთავრდება უფლებებისა და არსებობის ადამიანური პირობებისათვის კათოლიკე ღარიბების შეუპოვარი ბრძოლის წელი. ეს იყო სისხლიანი წელი ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორიაში. ქალაქების ქუჩებში ადგილობრივ მოსახლეობაზე ინგლისელი ჯარისკაცების თავდასხმების შედეგად 172 კაცი დაიხოცა. შარშან ეს სამწუხარო სია შეცავდა 20 სახელს.

● **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ 50 ᲐᲗᲐᲡᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲢᲘ** უსახლკაროა. კიდევ მილიონობით ინგლისელი ჯურღმულებში ცხოვრობს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თითქმის ორი მილიონი სოცხოვრებელი ინგლისში კლასიფიცირებულია როგორც ჯურღმულები. [illegible] ლონდონში 1980 წლისათვის [illegible] 100 ათასს აღემატება. [illegible] კონსერვატიულ მთავრობას დასავლეთ ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს სამხედრო ხარჯებით.

## ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

## ᲕᲔᲜᲐ „ᲤᲝᲚᲙᲡᲨᲢᲘᲛᲔᲠ“ ᲛᲐᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ჩინეთის მთავრობამ უღალატა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პრინციპებს, რომლებსაც ესოდენ დიდხანს და ესოდენ გულმოდგინედ უწევდა პროპაგანდას, წერს ვენის გაზეთი „ფოლკსშტიმერ“, რომელიც განმარტავს მაოისტთა პოლიტიკას.**

იგი დადგა მჩაგვრელთა მხარეზე, დასძენს გაზეთი. პეკინმა თანამშრომლობა დაიწყო იაპონიის ხანის სამხედრო რეჟიმთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან, რომელიც ეწევა გამანადგურებელ ომს ვიეტნამში. ამის შედეგად ყველაზე დიდი დამარცხება ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში განიცადა სწორედ ჩინეთმა, რომელმაც მხარი დაუჭირა რეაქციას.

მესამე სამყაროს ის ქვეყნები, რომლებიც პატიოსნად უჭერენ მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, წერს შემდეგ „ფოლკსშტიმე“, ზიზღით ეკიდებიან პოლიტიკას, რომლის შესაბამისად ბანგლა დეშის მებრძოლებს აცხადებენ „ძირგამომთხრელ ელემენტებად“, მაშინ როცა მჩაგვრელებს ქება-დიდებას ასხამენ.

მიუხედავად მთელი ლაყბობისა „შუალედური პოზიციების“ შესახებ, დღეს მსოფლიოში რეალურად არსებობს და ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა: სოციალიზმი, რომლის არსებითი ნაწილია საბჭოთა კავშირი და, იმპერიალიზმი. ის, ვინც პრინციპულად წყვეტს კავშირს ერთ-ერთ ამ ძალასთან, სოციალიზმთან, არა აქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მოკავშირენი ეძიოს სხვაგან, და იმპერიალისტთა ბანაკში გადაბარგდეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გადასვლა ყველაზე რეაქციული ძალების პოზიციებზე, წერს შემდეგ გაზეთი, — ეს არის პირწავარდნილი ანტისაბჭოურობის შედეგი, რომელიც საფუძვლად უდევს პეკინელ ხელმძღვანელთა პოლიტიკას.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ გიორგი დიმიტროვი აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება სასინჯი ქვაა ყოველი კომუნისტისათვის, ყოველი პროგრესული ადამიანისათვის. დღესაც ეს დებულება ისეთივე ეჭვმარიტებაა, როგორიც იყო იმ წლებში, აღნიშნავს „ფოლკსშტიმე“ დასასრულ.

## ᲒᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** 1970 წელს ინგლისის საწარმოებში და მშენებლობებზე დღეში ხლებოდა 800-ზე მეტი უბედური შემთხვევა. მათ შორის დაახლოებით ნახევარი „სერიოზული“ იყო. ეს მონაცემები მოჰყავს ბიულეტენს „ლეიბორ რისეჩს“, რომელიც იმოწმებს ინგლისის სამრეწველო საწარმოთა მთავარი ინსპექტორის ყოველწლიურ მოხსენებას.

როგორც ბიულეტენი წერს, ამდენი უბედური შემთხვევის მიზეზია მეწარმეთა მისწრაფება მიიღონ მაქსიმალური მოგება, კერძოდ, ტექნიკური უსაშიროების ელემენტარული მოთხოვნების ხარჯზე. საამშენებლო მოედნების გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ 130-დან 118 უბედურ შემთხვევაში, რასაც სიკვდილი მოჰყვა, ბრალი მიუძღვით მეწარმეებს.

სწორედ იმან, რომ მეტი მოგება მიიღონ, დაზოგონ შრომის დაცვის სახსრები, გამოიწვია ის, რომ ქალაქ მილფორდ-ჰავენში მშენებლობის დროს ჩამოინგრა ხიდი და 4 კაცი დაიღუპა. მეწარმენი მსგავ არიან გადაიხადონ ჯარიმები.

## ᲛᲐᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ტოკიო, 27 დეკემბერი. (საქდესი). იაპონია-ამერიკის ურთიერთობა ამ ბოლო დროს გაუარესდა, განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტაკეო ფუკუდამ.**

ჟურნალ „პესიფიკ კომიუნიტის“ იანვრის ნომრისათვის დაწერილ სტატიაში იაპონიის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი პირდაპირ წერს „ეკონომიურ დარგში უთანხმოების შესახებ „იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

ტ. ფუკუდა აღნიშნავს:, „აუცილებლად საჭიროა გავიგოთ მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს უთანხმოება, მერყეობისა და იმედგაცრუების გრძნობა“ ორი ქვეყნის ურთიერთობაში, და დანანებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით. რომ „ზოგიერთ ამერიკელს წინანდებურად მიაჩნია იაპონია თავის მორჩილ პროტეჟედ“.

„მე მაწუხებს იაპონიისა და შეერთებული შტატების ეკონომიური ურთიერთობის საკითხები, — აღიარებს მინისტრი. — და ეს საკითხები ახლა გადაუდებელ და დეტალურ განხილვას მოითხოვენ“.

კარგად მესმის, რომ ამერიკას ახლა აფიქრებს, სხვადასხვა საშინაო ეკონომიური პრობლემა, კერძოდ, ინფლაციის გაძლიერება, უმუშევართა რიცხვის გადიდება და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობის გაუარესება.

„მე ვიცი, — განაგრძობს ტ. ფუკუდა, — შეერთებული შტატების ზოგიერთ წრეში იაპონიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს თავისი ეკონომიკის ზრდას“. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს მინისტრი, „იაპონია-ამერიკის ეკონომიურ ურთიერთობაში ზოგიერთი უთანხმოების გამო მეორე მხარის ყოველგვარი არასწორი რეაქცია „უარყოფით გავლენას მოახდენდა მსოფლიოს აყვავებაზე, აგრეთვე ორივე ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაზე“.

## Ტ. ᲤᲣᲙᲣᲓᲐ: ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐ

## ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲣᲚ ᲩᲐᲒᲕᲠᲐᲡ

**27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).** ინგლისის კონსერვატიულ მთავრობასთან გარიგებით გაგანაგებული როდეზიის ხელისუფალნი აუსებენ ახალ რასისტულ კანონებს სამხრეთ აფრიკის რასათა ბერძენიდან ეროვნული ეროვნული ეროვნული

50 კომუნისტი 1920-1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავ

## დაბადების დღეს...

ახალ დღის მახარობელო, წამოფრენილო მტრედივით,
აზრის და სიბრძნის ოსტატო, ფიქრს მორგებულო ღვედივით.
არწივო ფრთებშემართულო, ელვა-ნაპერწკლის მკვესავო,
სიცოცხლის ნერგო ძლიერო და სიყვარულის მთესავო.
გილოცავთ დაბადების დღეს, შუქმოფენილო სიმართლით,
რა მადლსაც ქვეყნად შენ აბნევ, იბედნიერე იმ მადლით.
ჯერ ტელეფონით გვინდოდა შენთვის ზეიმის მოლოცვა,
ვრეკავდით, ერთად ისმოდა ტრიოც, კვარტეტიც, სოლოცა,
ბოლოს ვარჩიეთ წამოსვლა პირამდე სავსე ტრანსპორტით,
ბედლში ფორმა გვიცვალეს, ისე კი ჩვენ ვართ პასპორტით.
ნამგზავრს, ნაბრძოლს და ნაომარს შიშის ეკლები გვაყრია,
ჯერაც არ ვიცით, გვერდებში რამდენი ნეკნი გვაკლია.
ახე, თუ ისე, მოვედით, რომ გითხრათ ჩვენი სათქმელი,
თუმც რა ვთქვათ სატირეკოსთა, არაფერი გვაქვს სარქენი.
ერთი შენიშვნა მაინც გვაქვს, ისიც მგონია სწორდება,
მაგ, შენი წვრილი შრიფტისგან თვალები გვივიწროვდება.
მეორე — საღებავია, ნაბეჭდს რომ მოსდევს თალხივით,
ზოგჯერ სტრიქონებს რომ აკრავს გურული ყაბალახივით.
მაგრამ ლექსს მაინც მოგიძღვნით, თავის ასლით და დედანით,
გადმოგცემთ ხალხის მადლობას, პირად საქმეში შეტანით.
სად არ ჩამოხსნის გულის კარს ეგ შენი ალალმართლობა,
შენი დიდების ემბაზში ბევრს მიუღია ნათლობა.
ნაკლთან ბედლში იზრდები, ხარ უდრეკი და უცვლელი,
ფოლადზე უფრო მტკიცეა შენი ქალალდის ფურცელი.
ყველაფერს ეხმაურები კალმით, სიტყვით და აზრითა,
დასვენებაც კი არ გახსოვს პროფკავშირების ბაზითა.
ხან მშენებლობას უმღერი, ხან სოფლის დოვლათ-სიუხვეს,
ხან კოსმოსს ეხმატებილები, ხან კი უგალობ ბიუხებს,
ხან მთა-ბარს ხატავ, ხან ტყე-ველს, შესძარ დამკვრელი უბნები,
სპორტზე და სიჭაბუკეზე ყოველდღე გვესაუბრები.
ფეხბურთის თამაშს რომ არჩევ, საკითხს სვამ მთელი სიბრტყითა,
მოგებას ფართოდ აშუქებ, წაგებას — ორი სიტკვითა.
ღამეებს თეთრად ათენებ. სულით და გულით ძლიერო,
დუშმანთან დაუნდობელო, მოყვასთან გულისხმიერო.
კაცურ კაცს უმასპინძლდები სიკეთის საგზალ-ხადილით,
ბოროტს კი პილპილმოყრილი იუმორით და სატირით.
დაარტყი ყალბისმკეთებლებს, დაატყდი როგორც გრიგალი,
ლიტერის რომ ეტყვი, კოკასაც ესმოდეს შენი სიგნალი.
რომ შენგნით გზაზე დამდგარი მერე კაცურად იბრძოდეს,
და ცრემლებს სინანულისას შენი გაზეთით იშრობდეს.
სხვა რა ვთქვათ, რაც ვთქვით ეს არის ურთიერთ ნდობის შედეგი,
ახლა ვსარგებლობთ შემთხვევით და გვსურს გისურვოთ შემდეგი:
პირველი — დიდხანს სიცოცხლე აზრის და სიბრძნის ოსტატსა,
მეორე — ხელმომწერლებთან დროზე მიჰქონდე ფოსტახა,
მესამე — ვაშა, დიდება შენი ტირაჟის სიმაღლეს,
მეოთხე — კალმით იპყრობდე ყველა მწვერვალს და სიმაღლეს,
მეხუთე — ალალმართლობა დარაჯად გედგას კარებზე,
მეექვსე — ქართველ კოსმონავტს გამოეწერო მთვარეზე,
მეშვიდე — ხალხთა მშვიდობა შუქურად გენთოს მაკეტზე.
მერვეს კი იქ მოგახსენებთ, თუ ჩვენც წაგვიყვანთ ბანკეტზე.

ვალერიან მამუკელაშვილი,
გრიგოლ ჩიქვილაძე.

კომუნისტი 50 თბილისის რაკალი 1971

# „კომუნისტის“ თასი — „დინამოს“

„თბილისის რაკალი“ გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე. სურათებზე: მარცხნივ ზემოდან — „დინამოს“ გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა; ქვემოთ — ველოსიპედისტი საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე; მარჯვნივ ზემოდან — მძლეოსანთა ფინიში ლენინის ქუჩაზე; ქვემოთ — ნიჩბოსნები მეტეხის ხიდთან.

ფოტო ჯ. გინზბურგისა და ა. კაპპასიძისა.

თბილისელმა სპორტსმენებმა სასახელოდ აღნიშნეს გაზეთ „კომუნისტის“ იუბილე. კვირას დედაქალაქის ქუჩებში გამართულ კომბინირებულ ესტაფეტაში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა.

რედაქციის წინ 12 საათზე 20 გუნდიდან პირველ ეტაპზე მოწინავე 20 მძლეოსანი შეგროვდა და მესტარტის ნიშნისთანავე ბრძოლაში ჩაებნენ. მალე დინამოელებისა და სტუდენტების პირველი კოლექტივები დაწინაურდნენ და გამარჯვებისთვის ბრძოლაც მათ შორის მიმდინარეობდა. მძლეოსნებმა გაიარეს რუსთაველის პროსპექტი, ლენინის მოედანი, უკან დარჩა მეტეხის ხიდი, საიდანაც ესტაფეტა ნიჩბოსნებმა მიიღეს და მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ იგი კინოთეატრ „ნაკადულთან“ მიიტანეს, დანარჩენ ეტაპებზე ესტაფეტა ისევ მძლეოსნებმა, ხოლო ორ ეტაპზე ველოსიპედისტებმა ატარეს.

ბოლო ეტაპზე სასტუმრო „საქართველოდან“ „კომუნისტის“ რედაქციამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამეკურსელ ვ. ქავთარაძეს დინამოელმა ა. ვიუნოვმა გაუსწრო და ფინიშთან პირველი იყო. ჯილდო „დინამომ“ მოიპოვა. ამ საზოგადოების სამივე კოლექტივმა საბოლოოდ 15 საჯარიმო ქულა მიიღო. სტუდენტებსაც ასეთივე ბალანსი აღმოაჩნდათ, მაგრამ ვინაიდან დინამოელებმა ცალკეული გუნდების ტურნირში პირველობა მოიხვეჭეს, თასი მათ ნაკრებს დარჩა.

გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები და სიგელები.

• ო. ივანიძე.

## მადლობა

გაზეთ „კომუნისტის“ 50 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ ამანათრბენ „თბილისის რკალის“ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის „კომუნისტს“ რედაქცია მადლობას უძღვნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, ქ. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, ქ. თბილისის ავტოინსპექციას, ამანათრბენის მთავარ მსაჯს ვ. სამოსანაძეს, მთავარი მსაჯის მოადგილეებს ვ. ვაშაკიძეს (მძლეოსნობაში), გ. თელიაშვილს (ველოსპორტში), კ. რევიას (ნიჩბოსნობაში), კ. ავალიანს (საქემო დარგში), შეჯიბრების მდივანს ტ. დროზდოვას, ტრასის უფროსს ზ. ჯარაშნელს, ამანატრბენის კომენდანტს ჰ. ათაბეგოვს, მხატვრებს ვ. რუსეცკის, ი. მარქაოვს და სპორტულ ჟურნალისტს ო. ნოზაძეს.

# ნახეთ მათი ნახელავი

ეს სურათი ფოტოკორესპონდენტმა ხ. კილაძემ იმ დროს გადაიღო, როდესაც ცინკოგრაფიის საამქრომ „კომუნისტის“ რედაქციიდან მორიგი შეკვეთა მიიღო კლიშის დასამზადებლად. ცინკოგრაფები ვახტანგ ბაშარული, ანზორ სხირტლაძე და საამქროს უფროსი ვასილ კაჩმაზოვი გულისყურით დაჰყურებენ ორიგინალს... ხვალ მათი ნახელავი გაზეთში დაიბეჭდება.

ასე გადის დღეები მუყაოთ შრომაში ამ იშვიათი პროფესიის ადამიანებთან.

## საუბილეო ფელეტონი

# გთხოვთ მოგცეთ სიტყვა

სასიხარულო საიუბილეო თარიღმა არ უნდა გაგვაყოყოჩოს და თავბრე დაგვაბეიოს. პირიქით, საპიროა ფხიზელი თვალით გადავხედოთ და ვნახოთ, რა გაკეთდა: რატომ, როგორ, რისთვის; ან რა არ გაკეთდა: რატომ როგორ, ვისთვის. მეც მახარებს ჩვენი პრესის ფლაგმანის იუბილე. მაგრამ, როგორც ჟურნალისტს, „კომუნისტში“ ბევრი რამ არ მოწონს. ამიტომ უნდა გავაკრიტიკო. სასტიკად, თამამად. თანაც, როგორც გამონაკლისი, კონკრეტულად. მით უფრო, რომ ამისათვის არ დავისჯები — სხვაგან ვმუშაობ. ამიტომ გთხოვთ სიტყვას. თანახმა ხართ? კეთილი. მომისმინეთ და მერე მე არ დამბრალოთ.

გაზეთი სრულებით არ ზრუნავს იმისათვის, რომ ოპერატიული არ იყოს. ვთქვათ, ღამის ორ საათზე რაიმე დიდი ამბავი მოხდა. სისარულით აღარ მძინავს: აბა, ესეც თქვენ — ხვალის ნომერში ვერ მოასწრებთ, მკითხველს პირველად ჩვენი გაზეთი შეატყობინებს. დილით გადავშლი „კომუნისტს“ და ვხედავ, უძილობა ხახვივით შემრჩენია. ესაა საქმე? თქვე კაი ხალხო, გამაგებინეთ, რა გაჩქარებთ. თუ 30 ან 31 რიცხვი არ არის, სვალაც ამ თვისაა. რას ჰგავს ეს — ნამუალამეს შეოთავთ, დარბიხართ, რეკავთ, აღვიძებთ, ინტერვიუს ილებთ. არც თქვენ ისვენებთ და ჩვენც გზას გვიჭრით. ასე გესმით კოლეგიალობა, არა?

იცით თუ არა, რომ თქვენი წყალობით მახლობელი ადამიანი დავკარგე? ერთ-ერთი კულტურული დაწესებულების მეთაურმა მალულად შემატყობინა, შენთვის საგაზეთო სენსაცია მაქვსო. მივედი, გამოვკითხე. შეგთანხმდით: შენც სუ, მეც სუ. ჩვენს გაზეთში დაბეჭდვამდე კაციშვილმა არ შეიტყოს. შინ ისე დავწერე, ყოველი შემთხვევისათვის, მეუღლისაც კი არ გავანდე. დილით რედაქციაში ადრე გამოვცხადდი, მემანქანეს ჩუმად გადავაბეჭდინე — მეშინოდა, ცისა შიგნიდან არ გამეტყდარიყო, — და რედაქტორისაკენ გავექანე. წაიკითხა და ცამდე ამიყვანა: ყოჩაღ, როგორც იქნა, რედაქციაში დროზე მოსულხარო. მერე კი გულთბილად მირჩია, მუშაობის დაწყებამდე გიჯობს ჯერ „კომუნისტი“ წაიკითხო... მას შემდეგ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს ჰგონია, რომ თხასავით გავყიდე. მე კი ვურჩევ, თავის შტატს გულმოდგინედ გადასედოს და „საიდუმლო აგენტურა“ თავიდან მოიშოროს. ან, უარეს შემთხვევაში, თანამშრომლებს განუმარტოს, რომ კბილებს მარტო ღეჭვის ფუნქცია არ აკისრიათ — ზოგჯერ საჭიროა ენასაც დაჭირონ.

გაზეთის მეორე დიდ ნაკლად მომაჩნია ზოგიერთი დალოცვილი ქართული სიტყვის დავიწყება. არსებობს ჩვენი ჟურნალისტების მხსნელი გადასარევი გამოთქმები: „ამას წინათ“, „ამ დღეებში“, „ახლახან“... ამოფფარები მათ და თუ ვაკაცი ხარ, გაიგე, რამდენი თვე ირალება იმ „ამ დღეებში“. ყველანი სიამოვნებით ვიმეორებთ ჩვენთვის მოგონილ ასეთ სიტყვებს, „კომუნისტი“ კი ახლოს არ იკარებს. ვითომ რათაო, მისი მუშაკები სასტუმროში და თბილისიდან ტელეფონის ზარს ველოდები. გავიდა საათი, ორი საათი. თქვენც არ მოგიკვდეთ, აპარატი დამუხჯებულია. ტელეფონისტს ვეკითხები: საქართველოდან ხომ არ დარეკეს? როგორ არა, ხაზზე თბილისია. მერე, რაღას აყოვნებთ, მომეცით-მეთქი. ბოდიში, მაგრამ დაკავებულია, საკორესპონდენტო დაკვეთას ვასრულებთო. ელდა მეცა — ვინ დამასწრო?! უჰ, რა თქმა უნდა, იმან, ვინც ღამით ფხიზლობს და დღისითაც არ ისვენებს... და ამის მერე კიდევ მიმტკიცებენ, თანამომეზენი ვართო. აი რა დრო დაკვიდდა — ძმობა როგორ ესმით.

„კომუნისტში“ რატომღაც ერთი ცუდი ტენდენცია დამკვიდრდა — დიდი წერილები არ უყვართ. რატომ, მეკობრენი? თქვენ თუ არა, ავტორებს ხომ უყვართ? მაშასადამე, პატივი ეცით — მეტი დიდი წერილი და ნაკლები მეტი ავტორით არიან ჩვენზე უარესი, ხელოვნურად რატომ იზღუდავენ ლეგენდებს? დაუფიქრდით, ამსანაგებო! დროა, დიდი ხანია დროა ჩვენებან აიღოთ მაგალითი!

ახლახან, და ამ დღეებში, სულ რაღაც წელიწადნახევრის წინათ, რუსთაველის თეატრს უცხოეთში გავყავი. მისაროდა, რომ დასს ჩემს მეტი ჟურნალისტი არ ახლდა. ამრიგად, მაშასადამე... ესე იგი, ვზიგარ ჩემთვის არხეინად დრეზდენის ოპერაში, ვუყურებ, ყოველ შემთხვევისათვის, ბალეტს. ეს ბალეტი ეგ ბალეტია, ეს ბალეტი ეგ ბალეტია, ეს ბალეტი ეგ ბალეტია... ბოლოს ეტაპზე ესტაფეტა ვიღებ, ბოლო ეტაპზე ველოსიპედისტი ვარ. ბოლოს ეტაპზე ესტაფეტა ვაბარებ, ბოლოს ეტაპზე ველოსიპედისტი ვარ. ბოლოს ეტაპზე ესტაფეტა ვაბარებ, ბოლოს ეტაპზე ველოსიპედისტი ვარ. ... ... ...